ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2023 წელს ჩაატარა 7 სხდომა, სადაც განხილული იქნა 11 საკითხი. ასასევე ჩატარდა 2 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

2023 წლის 23 თებერვალი

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

2023 წლის 8 თებერვალს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა:

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ“

2023 წლის 5 აპრილი

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2023 წლის 5 მაისი

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2023 წლის 3 აგვისტო

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2023 წლის 14 აგვისტო

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

2023 წლის 3 ნოემბერი

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე

2023 წლის 21-22 ნოემბერს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე”

2023 წლის 21 დეკემბერი

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.